28/08/2020

# სიონის საკათედრო ტაძარში ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულთან დაკავშირებით საზეიმო წირვა აღევლინება



სიონის საკათედრო ტაძარში ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულთან დაკავშირებით საზეიმო წირვა აღევლინება.

წირვას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად აღავლენს.

„ახალი სტილით 28 აგვისტოს მართლმადიდებლური ეკლესია, მართლმადიდებლური სამყარო აღნიშნავს ყველაწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს. ამასთან დაკავშირებით, სიონში უძველეს საპატრიარქო ტაძარში საზეიმო წირვას აღავლენს მისი უწმინდესობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ძალიან მნიშვნელოვანია წირვის მსახურება მთელი ერისთვის, საზოგადოებისთვის და ღმერთმა დალოცოს თითოეული მათგანი, ვინც მოსულია ტაძარში, ვინც ვერ მობრძანდა ეკლესიაში. ღმერთმა დალოცოს ჩვენი ერი და სრულიად საქართველო,“-

განაცხადა სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზმა მამა გიორგიმ.

interpressnews.ge